

ნარი ჩხაბერიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი, თბილისი
chkhaberidzenari@gmail.com

საკვანძო სიტყვები: შური, საშური, მოშურნე, ბაძვა, სული.

ტერმინ შურისა და მოშურნეობის ლექსიკურ-სემანტიკური მიმართება

1. შური – მწუხარება და შფოთი

ქართული შური სულხან-საბა ორბელიანის მიერ განიმარტება, როგორც „*მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა*“. შური, საზოგადოდ, ის უკეთური ვნებაა, რომელიც ადამიანს უბიძგებს მრავალი ბოროტებისკენ. როგორც კაცობრიობის არსებობის ისტორია გვიმოწმებს, შესაქმიდან მოყოლებული დღემდე, ადამიანი მისთვის მონიჭებულ თავისუფალ ნებას ბოროტებისკენ წარმართავს. თვით ანგელოზებრივი ქმნილებანიც კი ამ ვნების მსხვერპლი გახდა და სატანად ქცეული დღემდე ადამიანის დაუძინებელ მტრად იქცა. „*ეშმაკი ხარობს ჩვენი დაღუპვით; თვითონ შურის გამო დაეცა და ჩვენც იმავე ვნებით გვითრევს თავისთან*, –“ ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი, და აქვე გვაფრთხილებს იგი: „*როგორც ჟანგი ჭამს რკინას, ასევე შური – სულს, რომელშიც მკვიდრობს*“ (წმინდა ბასილი დიდი 2011).

შემთხვევითი არ არის, რომ ადრეული ქრისტიანული პერიოდიდანვე შური იმ შვიდ სულიერად მომაკვდინებელ ცოდვათა შორის სახელდება, რომლებიც ადამიანს აკარგვინებს ღვთის მადლს და სამუდამო სატანჯველს უქადის. სწორედ ამიტომ პავლე მოციქული თავისი სწავლებით მოგვიწოდებს: „*ნუკუე იყვნენ თქვენ შორის კდომაჲ და შური, გულის წყრომანი, ძვრის ზრახვანი, წვალებანი, ცუნდრუკებანი, განლაღებანი, შფოთებანი*“ (კორ.12,20). მოციქული მიუთითებს მზვაობრობაზე, რადგან, ცხადია, იმავე შურის აღძვრიდან წარმოშობილი ერთ-ერთი ხშირი გამოვლინებაა იგი. „*ნუმცა ვართ მზუაობარ, ურთიერთარს მამრალობელ, ურთიერთარს მოშურნე*“ (გალატ 5,26). „*როცა ჩვენ შურით ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებას ვიწყებთ, მაშინ ჩვენს დასაღუპად ეშმაკიც აღარაა საჭირო*“, – ამბობს ოქროპირი (იქვე).

იაკობ მოციქული გვაფრთხილებს: „*ვინაიდან, სადაც არის შური და შუღლი, იქვე შფოთი და ყოველი ბოროტი საქმე*“ (იაკობი 3:16). შურისგან აღძრულმა შფოთმა შეიპყრო კაენი თავისი, ღვთის ერთგული, ძმის მოსაკლავად და პირველ მკვლელობასაც შურის გამო დაუდო საფუძველი. თავად ქრისტეც შურის გამო გადასცეს პილატეს სამსჯავროს „*რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი*“ (მათე 27,18). ამდენად, გასაკვირი არაა, რომ წმინდა მამები შურს სიკვდილის ძირს უწოდებენ: „*შური ძირი არს სიკუდილისაი, და მრავალი საღმრთოანი შეუდგნან*“ (მამათა სწავლანი 8,28, 1955).

ტერმინი *შურისგან*, როგორც საკაცობრიო ბოროტების მთავარი მამოძრავებელი ვნების გამომხატველი სიტყვისგან, არაერთი ნეგატიური სემანტიკის გამომხატველი ქართული ლექსიკური ერთეულია ნაწარმოები ჩვენს ენაში: ერთი მხრივ, სემანტიკით – „სხვისის თავისად ქცევის მავნე სურვილი“ (საკუთრივ შური) და, მეორე მხრივ, სემანტიკით – „ზედმეტი სურვილით აღძრული გაბოროტება და კაცისათვის სამაგიეროს გადახდა“ (აშურვა, აშურვება, აღშურვება, დაშურვება, მემშურნე, მოშურნე, საშურო, შურვა; შემშურვება, შურიანი, შურისგება, შურისძიება, შურობა და სხვ.)*¹. ასევე გვაქვს, შურის თვალთ დახარბებული ადამიანის აღმნიშვნელი ზემოგურული დიალექტის – *ლაზვი* – ხარბი, შურიანი (ქეგლი). ლეჩხუმური დიალექტი ამ სიტყვას გულთანაც აკავშირებს – ხარბი, *გულლაზოიანი*. *იმას სხვისი არაფერი უხარია, იმდენად გულლაზოიანია* (ახვლედიანი 2009).

შურის ვნების გულთან დაკავშირება ნამდვილად ადეკვატურია მისი სიმძიმიდან გამომდინარე. მას დიდი ტკივილი და მწუხარება მოაქვს ადამიანისთვის, რომელიც თუ ამ ცოდვისგან იქნება შეპყრობილი, მისგან მომდინარე კიდევ სხვა მრავალ ცოდვას სჩადის. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სამაგიეროს გადახდით აღძრულ გაბოროტებას ეხება, როცა ადამიანს, თავისი გაგებით, უსამართლობით გამოწვეული ტკივილიც ახლავს თან, და ჰგონია, შურისძიებით აღადგენს სამართალს. ავიწყდება კი, რომ ქრისტიანობამ წაშალა ამგვარი ურთიერთობები და, შურისგების ნაცვლად, სიმშვიდისა და მარადიული ნეტარების მოსაპოვებელი გზები გვასწავლა. თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა:

¹ შურის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის კვლევა მომაწოდა ენათმეცნიერმა მედეა ღლონტმა, რისთვისაც უღრმესი მადლობა მას, თანაავტორ მაია კობიაშვილთან ერთად.

„თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს: არამედ, ვინც შემოგვრას მარჯვენა ყვრიმალში, მეორეც მიუშვირე მას“ (მათე 5.38-39). მით უმეტეს, სავალალო და უგუნურ მგომარეობაში იმყოფება ის კაცი, რომლისთვისაც არავის არაფერი დაუშავებია, მაგრამ სხვისი სასიკეთო მიღწევები ამწუხრებს და გულს უღრღნის.

შურიანი ადამიანი, იმის ნაცვლად, რომ ისწავლოს სხვისი სასიხარულო ამბითა თუ მიღწევებით გახარება და თავის თანამომემსთან ერთად თავადაც იმხიარულოს, უგუნურების გამო დარდს მისცემია. მაინცდამაინც სხვისი თავისად ქცევის სურვილს შეუპყრია და არ აძლევს გასაქანს საკუთარი სასიკეთო შესაძლებლობები გამოიყენოს, მაშინ, როცა ეს შესაძლებლობები თითოეული ჩვენგანისთვის უნიკალურია და ღმერთმა ყველას განსაკუთრებული სხვადასხვაობითა და მრავალფეროვნებით მოგვმადლა. შურის ვნებას ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი საღმრთო სწავლების ლიტერატურაში. შურის გამოვლინების საგულისხმო ნიშანს წარმოადგენს *ბაძვა*.

2. ბაძვა

ბაძვა, შეიძლება იყოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური სემანტიკური თვალსაზრისით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რაში და რა განზრახულობით ჰბაძავს ესა თუ ის ადამიანი სხვას. „*ბაძი* ჰგავს შურსა, არამედ განეყოფის, რამეთუ უკეთუ კეთილი ნახოს მოყუსისა, გინა ბოროტი და კეთილად აღუჩნდეს, წადილით მსგავსსა მისსა (მხურვალედ მგზნებარეობითა საწადლისა მის მსგავს მისდა) ქმნას და ეგრე იქცეოდეს“ (სულხან-საბა 1993).

სულხან საბას ეს განმარტება გვიმოწმებს შურის მრჩობლ ლექსიკურ-სემანტიკურ მოტივაციას. შურის ნეგატიური ბაძვით წარმოდგენილი ცოდვა, მთლიანად ცვლის პიროვნებას, რადგან აიძულებს სხვას შეედაროს და უფრო მეტიც, აღიქვას კონკურენტად. ესაა ცოდვა, რომელიც აბრმავებს ადამიანის გულს და მთელ სამყაროსთან აპირისპირებს, მისი მიზანია –სხვებისგან აღიარება. შური ზოგჯერ შეუმჩნეველია, მით უმეტეს, თუ ადამიანი კარგად მსახიობობს. თვით სახარების ქადაგებაც კი ყოფილა შესაძლებელი შურის და არა სიყვარულის გამო, ამიტომ შეგვაგონებს იაკობ მოციქული: „ხოლო თუ გულში მწარე შური და შუღლი გიძევთ, ნუ იქადით და გვიყალბებთ ჭეშმარიტებას.“ (იაკობი 3:14). თუმცა, შესაძლებელია, *ბაძვა* სიკეთის მიმართულებით გვექონდეს და, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „მე მომბაძეთ, როგორც მე ვბაძავ ქრისტეს“ (1კორინთელთა მიმართ 12:1);

ქრისტიანობის არსის განმარტებისას, როგორც დებულებას, ისე გვიყალიბებს წმინდა გრიგოლ ნოსელი, რომ: „ქრისტიანობა არის საღვთო ბუნების ბაძვა... როგორ უნდა მოხდეს, რომ ადამიანურმა უბადრუკებამ შეძლოს წინ გაწვდომა¹ (შდრ. ἐπεκτείνεσθαι) ღმერთში ხილული ნეტარებისკენ? ასეთ ბრძანებასთან ერთად ხომ მყისვე თავს ავლენს უძლურებაც! როგორ ემსგავსოს ციურს მიწიერი, როდესაც თვით ბუნებაში არსებული განსხვავება აშკარას ხდის მიბაძვის მიუღწევლობას? ...არათუ იმას ბრძანებს სახარება, რომ ადამიანის ბუნება მიედაროს საღვთო ბუნებას, არამედ იმას, რომ ძალისამებრ კეთილ საქმეებს ჰბადოს მან თავისი ცხოვრებით. რა საქმეებით მივემსგავსებით საღვთო საქმეებს? მივემსგავსებით ყოველგვარი ბოროტებისგან ძალისამებრ გამოვრებით, რაჟამს განვიწმინდებით უკეთურ სიბილწეთაგან საქმით, სიტყვით და გონებით. ჭეშმარიტად, ეს არის ბაძვა იმ საღვთო სისრული-სა, რაც ზეციურ ღმერთს ეთვისება“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი 2011).

პავლე მოციქული ხშირად საუბრობს ბაძვის სასიკეთო მნიშვნელობაზე. „რადგანაც თქვენ თვითონ იცით, თუ როგორ უნდა მოგვბადოთ, ვინაიდან უწესოდ როდი ვიქცეოდით თქვენს შორის. არავის პური არ გვიჭამია მუქთად, არამედ დღედაღამ ვშრომობდით, რომ ტვირთად არ დაგწოლოდით რომელიმე თქვენგანს. იმიტომ კი არა, რომ ამის უფლება არ გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ მისაბამ ნიმუშად დაგვესახა თქვენთვის თავი“. (2 თესალონიკელთა მიმართ 3:7-9) აქ ცხადად ჩანს,

¹ „წინ გაწვდომა“ – შდრ. ἐπεκτείνεσθαι. აღნიშნული ტერმინი, რომელსაც უდიდესი საღვთისმეტყველო დატვირთვა აქვს, მარადიული სულიერი წინსვლის ანუ მარადმზარდი სულიერი პროგრესის, განდმრთობის გზაზე მარადგაძლიერებადი სულიერი წინწვდომის, ღვთისკენ მარადისი წინგაწვდომის შინაარსით გამოყენებულია პავლე მოციქულის მიერ, რომლის ჭეშმარიტად განმადმრთოებელ სწავლებას აქვე დავიმოწმებთ: ἄδελφοί, ἐγὼ ἐμαυτὸν οὐ λογίζομαι κατελιφέναι· ἐν δέ, τὰ μὲν ὀπίσω ἐπιλανθάνομενος τοῖς δὲ ἔμπροσθεν ἐπεκτείνομενος, κατὰ σκοπὸν διώκων εἰς τὸ βραβεῖον τῆς ἄνω κλήσεως τοῦ θεοῦ ἐν Χριστῷ Ἰησοῦ. (ფილიპ. 3.13-14; შდრ. ძვ. ქართ. „მძნო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; ხოლო ერთი ესე: უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები, და კრძალულებით ვსდევ გვრგვსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესუმს მიერ“ (ეპექტასი-სისის საღვთისმეტყველო რაობის შესახებ სრულად იხ. სათნოებათმოყვარეობა, I, თბ. 2006 წ. სქ. 493 (გვ. 402-416).

თუ როგორ იყენებს პავლე მოციქული ბაძვის სასიკეთო დანიშნულებას, რამდენადაც სანიმუშო მაგალითის ჩვენებით, შესაძლებელია სხვებზეც დადებითი ზეგავლენის მოხდენა. „*თქუენმან მან შურმან აღაბაძენა მრავალნი*“ (2 კორინთელთა მიმართ 9,2) – უხსნის პავლე მოციქული ქრისტიანულ მსახურებაში გულმოდგინებასა და მოშურნეობაში მყოფ თანამომძეებს.

3. *ბაძვისა და მოშურნეობის – ურთიერთგამომრიცხველი, მრჩობლი სემანტიკური განვითარება*

ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებულ ლექსიკონში ვკითხულობთ: *μῦσμαι* ბაძვა, ერთთან ზიარების (უკუქცევის) გზა, საშუალებაა ყოველი წარმომარსებელი *ჰბაძვს* მას ერთსა და ყოველთა წარმოყენებისა მიზეზსა (პრ., კავშ., პეტრ., I, 26; 23.8-9); *ჰბაძვს* თუ ერთსა, იგი უკუე მიუდრეკელად წარმოაარსებს შემდგომთა თვსთა (პრ., კავშ., პეტრ., 26; 23.1-2); სრულება ნაწილ ვიდრემე კეთილისაა არს, და სრული, ვითარ იგი არს სრული, *ჰბაძვს* კეთილობასა (პრ., კავშ., პეტრ., 25; 22.10-11); ყოველი მწუერვალი ღმრთებრივთა აღმკულებათა თვსთ ზესთმდებარეთა დასაბამთავე *ებაძვების* (პრ., კავშ., პეტრ., 148; 89.28-29; D. § 147); ქმნადობითა ეზიაროს უდარესთა, ხოლო სამარადისობითა *ებაძვებოდის* საუკუნითსა ბუნებასა (პრ., კავშ., პეტრ., 37.11-12); რომელსა და გონებადცა *ჰბაძვს*, ერთსახედ განაგებს გონიერთა (პრ., კავშ., პეტრ., 135; 82.27); – *ὁμοῖα* – ყოველი ღმრთებრივთა მოქცევთა დასასრული თვსთა დასაბამთა *ებაძვის* (პრ., კავშ., პეტრ., 147; 89.17-18; D. § 146) (ლექსიკონი 2010).

ამავე ლექსიკონში, საგულისხმოდ განიმარტება *მოშურნე* – *Gk. ζήλωσις ὁ* – ვინადაც საღმრთოდ განსწავლულნი მოშურნედცა სახელსდებენ მას, ვითარცა ფრიადსა არსთა მომართ სახიერებითთა ტრფიალებითა და ვითარცა შურად აღდგინებულსა (არეოპ., საღმრ., ეფრ., 4.13)(იქვე).

ჩანს, ბაძვასა და მოშურნეს დადებითი სემანტიკური მნიშვნელობა უფრო გვიანდელ პერიოდში უჩნდება. ძველ ქართულში კი იგი უმეტესად უარყოფითი მნიშვნელობით დასტურდება. მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ ჟამთაღმწერლის სიტყვებს: „*ამ დროს ლაშა გიორგი „...იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არავისთვს მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და განმკითხველ და მოწყალე“* (ჟამთაღმწერელი 1959, 154).

აქ, ფაქტია, სიტყვა *მოშურნით* გამოიხატა, ლაშა გიორგის რომ *შური* არავის მიმართ არ ჰქონია. ვფიქრობთ, ამ პერიოდისთვის, უმეტესად, ამ ტერმინს ამგვარი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა. მსგავსად, ამისა, თავად წმინდა წერლის სხვადასხვა დროის თარგმანებიდან მოყვანილი ასეთი მაგალითებიცაა: ძვ. ქართული [გიორგი მთაწმინდელის თარგმანი] – „რომელმან-იგი მისცა მოშურნეთა თავი თჳსი ჩუენთჳს, რადთა მიჴსნნეს ჩუენ ყოვლისაგან ურჩულოებისა და განმწმინდნეს თავისა თჳსისა ერად მოგებულად, *მოზადჳად* კეთილთა საქმეთა“ (ტიტე 2.14). ახ. ქართ. [ზაჩანა ბრეგვადის თარგმანი] – „რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვეხსენით ყოველგვარი ურჯულოებისაგან და თავისთვის განეწმინდა რჩეული ხალხი, კეთილ საქმეთა *მოშურნე*“.

როგორც ჩანს, ახალ ქართულში თანდათან შემოდის სიტყვა *მოშურნის* დადებითი სემანტიკით გამოყენება. ამ შემთხვევაში, მან შეცვალა ადრე ნათარგმნი მოხსენიებული დადებითი შინაარსის სიტყვები – *კეთილ საქმეთა მოზადჳად*. რისი მოდიეზაც შევძელი, სახარების თარგმანის გარდა, სიტყვა *მოშურნის* დადებით კონტექსტში გამოყენება, ყველაზე უადრესი გრ. ხანძთელის ცხოვრებაში დასტურდება. „ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისათა, თეოდორეს და ქრისტეფორეს, აქუნდა გულსა მათსა საღმრთოდ შური მონასტრისა შწნებისად და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვად მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს“ (მერჩულე 1984).

ქართულში დამკვიდრებულია გამოთქმა – თეთრი შური და კეთილი შური, რომლითაც შურის ნეგატიური სემანტიკის დადებითად შეცვლას ცდილობენ. ცხადია, ეს საღვთო მოშურნეობისკენ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, როცა ადამიანს უჩნდება კარგ საქმეში მიზადვის სურვილი. შესაბამისად, ადამიანი შურის ბოროტი მიმართულებით განვითარების ნაცვლად, იწყებს ზრუნვას თავისი კეთილი ძალისხმევით მოიპოვოს ის, რაც მისთვის სასურველია. „გვედრები თქვენ, მონანო... რაითა *ადიშურვით შური იგი კეთილი* ყოველსა ზედა საქმესა სათნოება და საწებელი, რომლითაც აღუმუნენ ყოველნი“ (მამათა სწავლანი 1955).

ამგვარად, სიტყვები *ზადჳა* და *მოშურნეობა* – ურთიერთგამომრიცხველი, მრჩობლი სემანტიკური განვითარებით ხასიათდება. ლექსიკონებშიც განმარტებულია ორივე მნიშვნელობით. მაგ., ჩვეულებრივ, სიტყვა *მოშურნე* ნიშნავს – *ბოროტებით აღძრულს*. განმარტებითი

ლექსიკონიც გვაუწყებს: სიტყვა *მოშურნე* (მოშურნისა) ძვ. ვისაც შურს ვისიმე, – *მეშურნე*. მეშურნეობა (მეშურნეობისა) ძვ. იგივეა, რაც *მოშურნეობა*. ბოლოს მის გულში *მეშურნეობა* სძლევს, ის მახვილს იშიშვლებს და ქალს ჩასცემს (გ. ქიქ.). || ფიგურ. [მეფის ცოლის] ღაწვის მეშურნეობითა მაისის ვარდი აღარ იშლებოდა (საბა). შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო (აკაკი). ერთმა თედეს მოშურნე კაცმა ორი ურემი პური დაფქვა თედეს წისქვილში (ვაჟა). || შურიანი. «დიდი... საქმის ჩაბარებით მე მინდა მისი მოშურნე გულის მოგება» (ნ. ლომ.). *მოშურნეობს, მოშურნეობს* (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. (ვისიმე) მოშურნეა, ეშულლება, მტრობს (ვისმე).

ამასთანავე, ამავე ლექსიკონში განმარტებულია *მოშურნე* (მოშურნისა), როგორც – *ძლიერ მოწადინებული, გულმოდგინე, მონდომებული, თავგამოდებული. [მიქაელი] მოშურნე მართლმადიდებელი*, ე. ი. *ქალკიდონიანი... ყოფილა* (ივ. ჯავახ.). ძვ. მოშურნის თვისება, მეშურნეობა, შურიანობა. *მოშურნეობისას... გზა არა ჰქონია ხალხის უტყუარ გულამდე* (ილია). *მოშურნის თვისება, გულმოდგინება, მონდომება, თავგამოდება. ახალმოქცეულები... ზოგჯერ გადაჭარბებულ გულმოდგინებასა და მოშურნეობას იჩენენ ხოლმე* (ივ. ჯავახ.) (ლექსიკონი 2006-2023).

ტერმინ *შურის* უარყოფითი მნიშვნელობით დამკვიდრება გამოწვეულია ადამიანის გაუცნობიერებელი აღმვრით შურის ვნებისადმი, რომელიც, ფაქტობრივად, სათავე ხდება სხვა უამრავი ცოდვისა, რომლებსაც მთელი თავისი მრუდე ცხოვრების მანძილზე თავისუფალი ნების უგუნური გამოყენებით ემონება იგი. სინამდვილეში, *სულის* არსობრივი (ონტოლოგიური) კონცეფციიდან გამომდინარე, ადამიანს ძალუძს საკუთარ „ვნებათა წადილს“ სძლიოს და ეს უკეთური წადილი გარდაქმნას ღმრთისაკენ ლტოლვად, რადგანაც სწორედ ამ დანიშნულებისთვის შექმნა კაცი ზეციერმა შემოქმედმა – „სახედ თვსად და ხატად ღმრთისა“ (შესაქმე 1, 27).

4. სული – შური

სული ერთ-ერთი უძველესი, საერთო-ქართველური ფუძე ენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულია, რომელიც *სურ* ფუძის სახით აღდგება და მისი ფონეტიკურ-სემანტიკური განშტოებებია ქართული *სულ-ი*, *სუნ-ი*, *შურ-ი*, მეგრული *შურ-ი* (*სული*, *სუნი*), ლაზური *შურ-ი* (*სული*), *შურ-ა* (*სუნი*), სვანური *ქუნ-ქუინ* → *სქუნ*, *შქუნ* (*სული*; *სუნი*). სურვიელ იქმნა სული ჩემი გულის-თქუმად სამართალთა შენთა ყო-

ველსა ჟამსა (ფს.118.20). სურიან სულსა ჩემსა შენდამი (ფს.62,2). სემანტიკური კავშირი *სულსა* და *სურვილს* შორის სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, როგორც -ილ სუფიქსით ნაწარმოები *სურ-ვ-ილი წყურ-ვ-ილი, სი-ძულ-ვი-ლი* (ჭუმბურიძე 1999, 116-120).

სულისა და სურვილის *შურთან* კავშირის ამგვარი რეფლექსია, ვფიქრობთ, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ მისი სასარგებლო მიმართულებით განვითარების გონივრულ მცდელობაზე. ის, ვინც აკონტროლებს თავის სურვილებს, შურის ბიწიერი გზით წარმართვას არასდროს შეეცდება და ამ ენერგიას ყოველთვის თავისა და მოყვასის სასარგებლო მოშურნეობად აქცევს.

ამ თვალსაზრისით განიხილება საღვთისმეტყველო წანამძღვრები ძვ.ქართ. შურ- მორფემით წარმოებული ქართ. *მოშურნის* ურთირთგამომრიცხველი მრჩობლი სემანტიკური განვითარებისა: „1. ძვ. ვი-საც შურს ვისიმე“; „2. ძვ. ძლიერ მოწადინებული, გულმოდგინე, მონდომებული, თავგამოდებული“ (ქეგლ V,1958), რის საფუძველზეც წარმოჩნდება შურისგან განთავისუფლებული გონიერი ადამიანის კეთილმოშურნედ გარდაქმნის საღვთისმეტყველო მიზანდასახულობა და სემანტიკური მოტივი.

5. მოშურნე – საშური – შრომა

მოშურნეა ადამიანი, რომელიც ენერგიას არ იშურებს. ამ კონტექსტს შეესაბამება ასევე, ზმნა – გამოეშურება-ა (გამოეშურა, გამოეშურებულა) გრდუვ. ვნებ. აქეთვე მოაშურებს, ჩქარა წამოვა, აჩქარებით გამოსწევს, გამოემართება. *ორმა გოლიათმა... ხმლები ჩააგო და სტუმრებისაკენ გამოეშურა* (შ. დად.). *ცალი თვალით ვამჩნევ – ჩემსკენ გამოეშურნენ მილიციის მუშაკები* (ე. ყიფ.). *[სტუმრები] სულმოუთქმელად გამოეშურნენ მიმოზასაკენ* (ნ. წულეისკ.). *სხვა სპელეოლოგებთანაც ელვა ვაფრინეთ..., არ დააყოვნოთ, გამოეშურეთო* (ო. ჩხ.) (ლექსიკონი 2006-2023). ასევე მსგავსი მნიშვნელობისაა – *საშური, შესაშური* საჩქარო, სასწრაფო, დასაშურებელი შესაშური – შურისაღმძვრელი (ლექსიკონი 2011).

დიდი ალბათობით, სიტყვა *საშური* დაკავშირებულია შრომასთან, მით უმეტეს, რომ ძვ. ქართულად შრომა მოცემული გვაქვს, როგორც – *შურომა*, შრომა *დაშურომა*, „ლუწა“, კეთება, მუშაობა, ჯაფა; „ურვა“, გარჯა (ი. ა.) იხ. აგრეთვე: დასაშრომელი, დაშრომა, დაშრომა, დაშურომა/დაშრომა, დაშურომა, დაშრომითი, ვეცხლის მშრომელი, თანამშრომელი, მაშრომებელი, მაშურალი, მოშრომება, მოშ(უ)-

რომა, ნაშრომი, უშრომელად, ურვა, მშრომელი, ღუწა, შრომა, შრომება, მოშრომება, მოშ(უ)რომა გარჯა, შეწუხება; „შეურვება“ (ი. ა.) იხ. აგრეთვე: შურომა, შრომა (ლექსიკონი 2008).

შური, მოშურნეობა და მოშურნე, ქართულში გვხვდება სამი სემანტიკური მნიშვნელობით I. სხვისის თავისად გადაქცევის ბოროტი სურვილი; II. ძალისხმევით აღძრული სურვილი; III. ზედმეტი სურვილით გაბოროტება. ისინი სემანტიკური ველის სიმრავლეს ქმნიან, რომელთაც გამაერთიანებელია ამოსავალი სემოერთეული *სურვილი*. ადამიანის სურვილი ამოძრავებს სამივე ამ სიტყვის მნიშვნელობას, რომლის წარმმართველი ნეგატიური მოტივია, კერძოდ, სურვილი, რომელიც სხვისის მითვისებით, ანუ ზედმეტი, ბოროტი განზრახვით საზრდოობს. ამავდროულად, „ძალისხმევით აღძრული სურვილი“ შესაძლებელია გავმიჯნოთ დადებითი სემანტიკური მოტივის ისეთი ლექსემებით, როგორიცაა *შესაშური, მოშურნეობა, ბაძვა*. გამიჯვნა, უმეტესწილად, ხორციელდება საგანგებო ეპითეტებით (*სადმართო შური ან მოშურნეობა, კეთილი შური, მოშურნეობა სჯულისა*), სხვა შემთხვევაში კი მათ სემანტიკურ მოტივაციას კონტექსტი გვკარნახობს (ღლონტი, კობიაშვილი 2010: 171).

სადმართო მოშურნეობამ, როგორც *შურის* დადებითი სემანტიკური მიმართულებით გავრცობილმა ლექსემამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს წმინდა მოციქული სიმონ კანანელი, რომელიც სწორედ *მოშურნის* სახელით არის ცნობილი, რადგან ამავე დასახელების რელიგიურ დაჯგუფებას – *ზელოტებს* მიეკუთვნებოდა. *ზელოტები (მოშურნენი)* (Etym. ბერძნ. *zelotés მონდომებული, მოშურნე, ფანატიკური*, სიტყვიდან *zeloun „რამე მიზნისაკენ მგზნებარედ სწრაფვა“*) იყვნენ პალესტინის ნაციონალისტური პარტიის წევრები (ქრისტემდე I საუკუნე – ქრისტეს შემდეგ I საუკუნე), რომლებიც, შესაძლოა, დაკავშირებულნი იყვნენ იუდა გალილეველთან. ღმრთისა და რჯულის მგზნებარე მიმდევრები, ისინი თავიანთ რჯულს ტერორისტული საქმიანობითაც იცავდნენ, რომელიც, ძირითადად, რომაელ „დამპყრობთა“ წინააღმდეგ იყო მიმართული (პეტროზილო 2011).

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფში დაცული იყო იუდა მაკაბელის სულისკვეთება, რომლის მეთაურობითაც აჯანყებულებმა, ჩვ.წ.-მდე II საუკუნეში, შეძლეს სირიელებისათვის ტაძრის წართმევა „მხოლოდ ღმერთია ჩვენი მეფე“, – აცხადებდნენ ფანატიკოსი ზელოტები, რომელთაც სწამდათ, რომ რომაელ დამპყრობლებს ამგვარი რწმენის ძალით განდევნიდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან. მათ არ ესმოდათ, რომ

მეუფება, რომელიც მაცხოვარმა წამოაყენა და მასთან ერთად მოევლინა წუთისოფელს, არ ეკუთვნის მიწიერ სამყაროს. უხეში ძალის წყალობით ის ვერ დამყარდება. ზელოტები, სადუკეველებისა და ფარისევლებისგან განსხვავებით, არ ცდილობდნენ რომაელთა ხელისუფლებასთან მორიგებას. პირიქით, მათი დამხობისაკენ მიისწრაფოდნენ და თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. სიმონ კანანელი იესო ქრისტეს ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, სწორედ ამ რადიკალურად განწყობილი ებრაული ორგანიზაციის ზელოტების (შურიანთა) წევრი იყო (ენციკლოპედია 1998).

წმიდა მოციქული სვიმეონ მოშურნე-კანანელი (I) კანას გალილე-ში ცხოვრობდა. ის იყო წმიდა იოსებ დამწინდველის შვილი, პირველი ქორწინებიდან, და 12 მოციქულთაგანი. მაცხოვრის პირველი სასწაული – წყლის ღვინოდ გადაქცევა – სვიმეონის სახლში აღესრულა. ნადიმის დროს ტრაპეზზე ღვინო შემოაკლდათ. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თხოვნით მაცხოვარმა წყალი ღვინოდ აქცია. ამ სასწაულის ხილვით აღფრთოვანებულმა სვიმეონმა მთელი სულითა და გულით ირწმუნა იესო ქრისტესი, როგორც აღთქმული მესიისა, დატოვა ოჯახი, ახალშერთული ცოლი და მაცხოვარს გაჰყვა. სულთმოფენობის დღეს სხვა მოციქულებთან ერთად სვიმეონ მოშურნეზედაც გარდმოვიდა სულიწმიდის მადლი. წმიდა მოციქული ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა იუდეაში, ეგვიპტეში, კირინეაში, ბრიტანეთში და ჩვენს ქვეყანაშიც. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი *საღვთო მოშურნეობა* გახდა საბაზი იმისათვის, რომ მოვიხსენიებდეთ, როგორც *მოშურნეს*.

6. ბოროტი მოშურნეობის სიკეთედ გარდაქმნა

ამ საკითხის თვალსაჩინოებისთვის ქრისტიანობის მდევნელი, თავად – პავლე მოციქული გვახსენდება, რომელიც თავისმა მოშურნეობამ ქრისტიანობის ბოროტად მდევნელი, ღვთის ნებით, სწორედ ქრისტიანულ ჭეშმარიტებას აზიარა და მისთვის ბოლომდე თავდადებით აღესრულა: „და წარვემატებოდე ჰურიანებასა შინა უფროის მრავალთა ჰასაკისა სწორთა ჩემთა ნათესავთა შინა ჩემთა, უმეტეს მოშურნე ვიყავ მამულთა ჩემთათვის მოძღვრებათა“ (გალ. 1.14); ძმანო, ნებად გულისა ჩემისა და ვედრებად ჩემი ღმრთისა მიმართ ისრაჴლისათჳს არს საცხორებელად. ვეწამები მათ, რამეთუ შური საღმრთოდ აქუს, არამედ არა მეცნიერებით რამეთუ უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად, და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს (რომაელთა მიმართ 10: 1-3).

ადამიანს შექმნიდანვე ჰქონდა შემოქმედისგან მიცემული თავისუფალი ნება, რომლითაც მიეცა შესაძლებლობა თავისი სურვილი წარმართა ღვთივსათნო ცხოვრებისაკენ და, შესაბამისად, მისთვის სასარგებლო ყველა წადილი უსაზღვრო ნეტარებაში ცხოვრებით აღესრულებინა. მიუხედავად ამისა, ზედმეტი სურვილით შეპყრობილმა, ღვთის გარეშე ინდომა ყოვლისმცოდნეობის მოპოვება, და პასუხადაც უღმერთო ცხოვრებაში აღმოჩნდა. ეს ფაქტორი, დღესაც ზუსტად ასევე იჩენს თავს, როცა კაცი არ ნებდება საღვთო სათნოებაში ცხოვრებას, რის შედეგადაც სხვისი სიკეთით სიხარულისა და საღმრთო შურის სიამოვნების ნაცვლად მწუხარება ეუფლება.

ადამიანს ცოდნით და მონდომებით შეუძლია ვნებითი წადილი გარდაქმნას ღმრთისაკენ ლტოლვად, რადგანაც მას ვნებითი პოტენციალი, სწორედ ამ დანიშნულებისთვის მიეცა სინამდვილეში, და არა ბიწიერების განსახორციელებლად. როგორც მაქსიმე აღმსარებელი გვიხსნის, რომლის გონებაც მუდამ ღმერთთანაა, მისი წადილი (ἐπιθυμία) გადაიზრდება ღმრთისაკენ ლტოლვაში, ხოლო რისხვა (θυμός) სრულიად ღმრთის სიყვარულად გარდაიქმნება. რადგან ღმრთაებრივ ნათელთან ხანგრძლივი ზიარებით, იგი (გონება) განათლდება და, მჭიდროდ უკავშირდება რა თავის მსურველობით ძალას, აქცევს მას ღმრთისაკენ უსასრულო ლტოლვად და მოუკლებელ სიყვარულად, ხოლო მიწიერი საგნებისგან მთლიანად ღმრთაებრივისკენ მიემართება. შესაბამისად, აღმოჩნდება რა განღმრთობის მდგომარეობაში, სული თავისუფლდება თავისი გულისთქმითი ნაწილის ყოველგვარი ბიწიერი აქტიურობისგან (მაქსიმე აღმსარებელი 2015).

საყოველთაოდ ცნობილია, რამდენად ძლიერია შურისძიების წყურვილით აღძრული ძალა ადამიანში შესაბამისი ქმედებისას. რთული წარმოსადგენია ამ პოტენციის სწორად წარმართვით რამდენი სიკეთის რეალიზება შეიძლებოდა მოეხდინა მას. ერთი კი ფაქტია, იმ უზარმაზარი ბოროტებისგან გვიხსნიდა, რომლითაც სავსეა კაცობრიობა თავისი არსებობის განმავლობაში.

როცა ადამიანს ღმერთმა ასეთი შესაძლებლობა მისცა და ამ დროს იგი სხვისი სიკეთით შეწუხებული ათას ბოროტებას სჩადის, ამაზე მეტად დიდ უგუნურებას დაქვემდებარებული განცდა სხვა რამ არც კი შეიძლება ჰქონდეს კაცს. მოშურნეობა სარწმუნოების საკითხია. აქ, სურვილი ნდომა, სიყვარული, სწრაფვა წადილი, ნატვრა გარდაიქმნება სიკეთის სამსახურად. სწორედ ამიტომ საღვთისმეტყველო გან-

მარტებისთვის სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონზე მუშაობისას საგანგებოდ ხელმძღვანელობდა წმიდა წერილითა და ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურით, საიდანაც ლექსიკოგრაფი მარგალიტებივით აგროვებდა გამორჩეულ ნიმუშებს ქართული სიტყვის სრულფასოვანი და ამომწურავი განმარტებისათვის. ამის დასტურია მის მიერ შურის განსამარტავად მოხმობილი მასალა (ღლონტი, კობიაშვილი 2010).

შურის, როგორც ადამიანის სულის დამანგრეველი ნეგატიური ნიშნის დესემანტიზაცია, ანუ დადებითი სემანტიკური მნიშვნელობით გარდაქმნა ხდება, როცა ნეგატიური სურვილის უარყოფით, გონივრულად იქმნება ადამიანისთვის სასარგებლო, საღმრთო სიკეთის მოტივაცია. ეს პროცესი საღვთისმეტყველო საკითხია და ადამიანის თავისუფალ ნებას უკავშირდება. ნება, სურვილი და შესაძლებლობა ნებელობა – ადამიანის მიერ საკუთარი ფსიქიკისა და საქციელის ცნობიერი მართვაა. იგი ვლინდება ცნობიერად დასახული მიზნისკენ სწრაფვისას წამოჭრილი სირთულეების გადალახვაში.

წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელის „უხილავი ბრძოლაში“ ვკითხულობთ: „ჩვენში არსებული ორი ნება ებრძვის ერთმანეთს. ერთი სულის გონიერ ნაწილს მიეკუთვნება და ამიტომაც გონიერი, უმაღლესი ნება ეწოდება. მეორე ჩვენს მგრძნობელობით ნაწილს ეკუთვნის და გრძნობადი, უმდაბლესი, ვნებიანი, ხორციელი, უტყვი ნება რომ ეწოდება. უმაღლეს ნებას ყოველთვის კეთილი სურს, უმდაბლესს – მხოლოდ ბოროტი. ერთიც და მეორეც თავისთავად ხდება, ამიტომ არც კეთილი სურვილი გვეთვლება სიკეთედ და არც ბოროტი – ბოროტებად. ეს ჩვენს თავისუფალ ნებელობაზეა დამოკიდებული. რომლისკენაც გადაიხრება, იმჯერად ის იმარჯვებს. სწორედ ესაა უხილავი სულიერი ბრძოლა. მისი მიზანი უნდა იყოს ის, რომ თავისუფალ ნებას უმდაბლესი, ხორციელი და ვნებიანი ნებისკენ გადახრის საშუალება არ მივცეთ. ის მხოლოდ გონიერ უმაღლეს ნებას უნდა დაემორჩილოს, რადგან ეს უკანასკნელი ღვთის ნებაა, რომელიც ჩვენი არსებობის უმთავრესი კანონია“ (ნიკოდიმოს მთაწმინდელი 2014, 32-33).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც ჩანს, შურის მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად დაფიქრებულმა კეთილგონიერმა ადამიანმა ვნებითი წადილის სასიკეთო მიმართულებით წარმართვა ისურვა და, სწორედ აქედან გამომდინარე, ქართულ ენაში, სიტყვამ – მოშურნეობა – მიიღო დადებითი მნიშვნელობა. ქართულმა ენამ წარმოაჩინა შურის უარყოფითი ლექსიკურ-სემანტიკური გაგების

დადებითად შეცვლის საღვთისმეტყველო პარადიგმის ჩამოყალიბება და ტერმინოლოგიაში ასახა შურისგან განთავისუფლებული ადამიანის კეთილმოშურნედ გარდაქმნის პროცესი.

ლიტერატურა

ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეორე სრული გამოცემის მიხედვით.

ახალი აღთქმა თანამედროვე ქართულ ენაზე, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი ძველი ბერძნულიდან.

ახვლედიანი 2009 – ელეონორა ახვლედიანი მასალები ლექსურ-მური ლექსიკონისათვის. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა XIII, ქუთაისი.

წმინდა ბასილი დიდი 2011 – წმინდა ბასილი დიდი „სწავლანი შურის შესახებ“. <https://martlmadidebloba.ge/codvebi21.html>

ენციკლოპედია 1998 – ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, თბილისი.

წმინდა გრიგოლ ნოსელი 2011 – წმ. გრიგოლ ნოსელი „რა არის ქრისტიანის სახელი და აღთქმა?“, ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, #1. თბილისი.

ლექსიკონი 2006-2023 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი \(ice.ge\)](http://ქართულიენისგანმარტებითილექსიკონი(ice.ge))

ლექსიკონი 2010 – ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი = Old georgian-greek documented dictionary of philosophical-theological terminology: (მასალები) / I-ელი გამოც.. ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, თბილისი.

ლექსიკონი 2008 – ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი: 16800 სიტყვა : შედგენილია ილ. აბულაძის, ავ. შანიძის, ივ. იმნაიშვილისა და სხვა ავტორთა ლექსიკონური წყაროების მიხედვით / [შემდგ. გრიგოლ რუხაძე; რედ. გვანცა კოპლატაძე; საქ. საპატრიარქოს გამ-ბა, (გამ-ბა „სამშობლოს“ სტ.), თბილისი.

ლექსიკონი 2011 – სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი /არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტი, [მერიდიანი], შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნ. ფონდი, თბილისი.

მამათა სწავლანი 1955 – მამათა სწავლანი, X და XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ (ძვ.ქართული ენის ძეგლები. 8), თბილისი.

მაქსიმე აღმსარებელი 2015 – მაქსიმე აღმსარებელი. V საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო კონფერენციების მასალები.

მერჩულე 1984 – გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა ტ. I. თავი XIX. თბილისი.

წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი 2014 – წმინდა ნიკოდიმოს მთაწმინდელი, უხილავი ბრძოლა, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბილისი.

პეტროზილო 2011 – პიერო პეტროზილო, ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო; [იტალ. თარგმნა მარიკა სააკაშვილმა; რედ. მერაბ ღაღანიძე; სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტი, ქრისტ. თეოლოგიისა და კულტ. ცენტრი], სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც. თბილისი.

ჟამთაღმწერელი 1959 – ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სულხან-საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული II ტომი, გამომცემლობა „მერანი“ თბილისი.

ღლონტი, კობიაშვილი 2010 – მედეა ღლონტი, მაია კობიაშვილი, „შურის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი.

ჭუმბურიძე 1999 – ზურაბ ჭუმბურიძე, ქართული სული და შური, მესამე ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

Nari Chkhaberidze

Independent researcher, Georgia

chkhaberidzenari@gmail.com

Keywords: shuri (envy), moshurne [envious], sashuro (causing envy) suli (soul).

Lexical and Semantic Relationships of the Terms Envy and Being Envious

Summary

The Georgian word shuri (envy) is defined, by Sulkhan-Saba Orbeliani, as "being sad about someone else's good". Shuri (envy), in general, is an unkind emotion that pushes a person to any kind of evil. Several Georgian lexical units with negative semantics originate from the Georgian word shuri (envy). On the one hand, words with the meaning of "an evil desire to turn something belonging to someone else into one's own" (namely, shuri [envy]) and, on the other, "to be evil, driven by an excessive desire, and take revenge on a person" (ashurva, ashureba, aghshurveba, dashurveba [to envy], memshurne, moshurne [envious], sashuro ([causing envy], shurva; sheshurveba- [to envy], shuriani [envious], shurisgeba, shurisdzieba [avenge], shuroba enviousness, etc.).

The establishment of the term Shuri (envy) with the negative connotation is due to the unconscious birth in a person of a passion for envy which becomes the root of many other sins to which a man is subjugated through the unreasonable use of free will throughout his dishonest life.

As the history of human existence proves to us, from Genesis to the present day, a man directs the free will given to him to evil. On the other hand, based on the essential (ontological) concept of the soul, a person can overcome his "desire of passions" and turn this unkind desire into an aspiration for God. Because it is for this purpose that the heavenly Creator created man "in the image of God he created him" (Genesis 1,27).

From this point of view, the theological premise of the mutually exclusive development of the semantic pair of the Georgian Moshurne

(envious) produced by the Old Georgian morpheme Shur (envy) – is considered in the report: 1. Old, „one who envies someone“, 2. Old, “burning with desire, assiduous, diligent, zealous” (Explanatory Dictionary of the Georgian Language V, 1958), based on which originate the theological purposefulness and semantic motive of the transformation of a reasonable person, freed from envy, into a benevolent person.